№ 56. 13 მარტი, ხუთშაბათი. 1866—1880 13 მარტი, ხუთშაბათი № 56

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

რევ. ხ მეიდანზე, ლუბაზორის თავში მარცხნივ თ. ლუარს... რეუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების" „ივერიის" რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба"-„Иверіи"

„დროება"-„ივერიის" ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება"-„ივერია" ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ. „ივერიისა" 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და გამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

პარასკევს 17 ნარასკევს

ქართულის თეატრის დასისაგან

წარმოდგენილ იქნებიან:

I

ადვოკატი მელამე

კომედია ჩარსი ორს მოქმედებათ ფრანცუზულიდამ გადმოკეთებული..

II

ძუნწი

კომედია ორს მოქმედებათ თ. გ. ერისთავისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში არწრუნის ქარვასლაში და აზნაურთა-ვის მაღაზიაში გოლოვანის პროსპექტზე.

დასაწყისი 8 საათზე

## ტელეგრამები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 11 მარტს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია: გუშინ სასამთრო სასახლეში, სადილზედ, ხელმწიფე იმპერატორმა შაირთვა სადღეგრძელო იმპერატორის ვილჰელმისა და ამ დროს ბრძანა შემდეგი:

„მისმა უდიდესობამ იმპერატორმა ვილჰელმმა, რომლის დაბადების დღესაც ჩვენ ახლა ვდღესასწაულებთ, მომცა მე ახალი დამტკიცება თავის მუდმივი მეგობრობისა,—მომწერა ორი წერილი ჩემი ოც-და-ხუთი წლის მეფობის გამო, ერთი ოფიციალური, რომელიც მე დაუყოვნებლივ საქვეყნოდ გამოვაცხადებინე, და მეორე—კერძო, რომელმაც დიდათ ამაღელვა. მეც იმ გრძნობებითა ვარ აღჭურვილი, რომელნიც ხსენებულს წერილებში მეტად გამოცხადებულია და სრული იმედი მაქვს, რომ ეს საუკუნოებით მეგობრობა ჩვენს შორის შემდეგშიაც დაუშლელი და დამყარებული იქნება სვენი ორი ხალხის კეთილ-დღეობისათვის."

## უგზოობის მიზეზი

ტფილისი, 12 მარტს.

ჩვენს გუშინდელს წერილში ვცდილობდით გვეჩვენებინა, რომ გზის ბეგარიდამ თავისდახსნა იაფად არ უჯდება თავ-დახსნილს. მაგალითი მარტო პურის თაობაზედ მოვიყვანეთ და ახლა ვფიქრეთრამოდენას ვზარალობთ სხვა ათნაირ ხორაგეულობაში, რომელსაც ადამიანი საცხოვრებლად საჭიროებს და რომელიც უგზოობით ზოგან გადასაყრელია ხოლმე და ზოგან იმავე დროს ფულითაც ძნელი საშოვარია. ამ ზარალის მეოცედი ნაწილი მაინც გზების კ თებას რომ მოხმარდეს ქვეყანას გზები ექმნება და ამით ქვეყანა ერთში ცხრამეტს მოიგებს და თუნდა ერთი ათად, ხუთად, ორად მოიგებოდეს, მითამ სანატრელი არ არის.

რადგანაც ჩვენში გზის ბეგარიდამ უფრო შეძლებულნი ამოშვებულნი არიან და ეგ ბეგარა კისერზედ აწევს მარტო ულონო გლეხობას, რომლის განძიც მხოლოდ ერთი მარჯვენაა, ამიტომაც ჩვენს ქვეყანას უგზოობით ლამის სული ამოუვიდეს.

იმიტომ რომ მარტო მარჯვენა, მერე იმისთანა მარჯვენა, რომელიც ყოველს ხარჯს უძლევა შინაურს, თუ გარეულს, ბევრს ვერას შეჰსძლებს. ამიტომაც რუსეთში და ნამეტნავად ჩვენში, სადაც გზის ბეგარა მარტო გლეხის მარჯვენას დაჰნდობია, გზები შეუმუშავებელნი არიან და გაუვალელნი. ეს ერთი მიზეზი გზების უვარგისობისა ჩვენში.

მეორე მიზეზი იმაშია, რომ ამ ულონო მარჯვენასაც გამოზოგვით და გამოსაყენად არა ხმარობენ ხოლმე და ეს უფრო ახდენს საქმესა. სად არის საჭირო გზა,—ამისი არჩევანი თვითონ ხალხს კი არ ეკითხება, ოთხკედელშუა წყდება რომელიმე მოხელესაგან. მოხელე კიდევ თავის გუნებაზედ გაბამს ხოლმე გზის ლარსა, სადაც ჯერ არს საბუთებს წარუდგენს, ლარს მოაწონებს, დამტკიცებინებს და გამორეკავს გლეხობას საკეთებლად. ამიტომაც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ხალხი მუშაობს გზის საკეთებლად და არ იცის კი გზა რისთვის და ვისთვის კეთდება, ვისი და რის გამოსადეგია. ამ სახით, ხალხის ოფლი იღვრება, გზაც კეთდება და გზა კი გამოუსადეგია ხოლმე.

მესამე მიზეზი იმაშია, რომ თვითონ გზის ბეგარა განსაზღრული არ არის: ხალხმა არ იცის რა წესით; რა რიგით რა დროს და რამოდენად უნდა იხადოს ეგ ბეგარა. ამ საგანზედ არა ვითარი დაწყობილება და, ეგრეთ წოდებული, სარისტა არ მოიპოვება ჩვენში. ზოგიერთს მაზრის უფროსს ამის შესახებ თავისი საკუთარი კანონები აქვს, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, ზოგიერთს მაზრის უფროსი ამ საქმეში მარტო თავის გუნებას ეკითხება და სხვას არავის. ეგ უწესოება ერთი ორად და სამად უმძიმებს გლეხობას ისეც მძიმე ტვირთს გზის ბეგარისას.

ათასი ბოროტ-მოქმედება, რომელსაც გზის ბეგარის თაობაზედ უჩივიან ჩვენში, იმიტომ არის ხშირი, რომ გზის ბეგარის შესახებ არ არის არავითარი წესი და რიგი. ვისაც რა უნდა და როგორც უნდა, ისე იქცევიან. ხალხს ერეკებიან უანგარიშოდ, უდროოდ; ზოგს ჩააბმენ და თვეობით თავიანთ საქმეს აცდენინებენ, ზოგს უ-

## ფელეტონი

—

### სამეცნიერო საუბარი

ჭვარის მტვერი. — პატარა ცხოველები. — მოარული ავათ-მყოფობა.—ცოფიანი ძაღლის ნაკბენი.—რაშია ცოფი. — საშველი არის რამე თუ არა?

როდესაც ბნელს ოთახში პატარა ჯუჯუტანიდან სინათლე შედის, ეს სინათლე სვეტსავით არის კედლამდის, ან პოლამდის გაყვანილი და ამ სვეტში ირევა უანგარიშო მტვერი, რომლის ნაწილები ერთმანერთში ისე ირევიან, თითქო რაღასაც დაუფთხია და თავშესაფარებელი ადგილი ველარ უპოვნიათო. ამ დაბნელებულის ოთახის ფანჯრები რომ გაალოთ ეს მტვერი სრულებით გაქრება, ან ისა სჯობს, ვსთქვათ, უჩინარი შეიქნება. კიდევ რომ მივხუროთ ფანჯრები და ჯუჯუტანა სხვა მხარეს მოვაქციოთ, სინათლის სვეტი და მტვერი ახლა იქ გამოჩნდება.

მტყობა ეს მტვერი ყველგან არის და მხოლოთ განსხვავებულს შემთხვევაში იჩენს თავსა, როგორც მაგ. ბნელს ოთახში და კიდევ ბნელს, გონებით უკან ჩამორჩომილს ქვეყნებში.

დიახ, ამ მტვერში მრავალი წვრილი ცხოველები არიან, რომელთ თვალით დანახვა თუმცა შეუძლებელია თუ დიდად მაჩვენებელი მინა არ მოვიშველიეთ, მაგრამ შეძლება კი დიდი აქვთ. უ-ამ ცხოველებოთ არც არა დალპება-რა, არც არა დამჟავდება-რა, და მრავალი საშიშარი მოარული ავათ-მყოფობაც მათზედ არის დამოკიდებული.

თუმცა ექიმებმა ჯერ გულ დაჯერებით არ იციან როგორა ვრცელდება სხვა და სხვა მოარული ავათმყოფობა, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ამ ცხოველების გამრავლებას მოსდევს ზოგიერთი ავათ მყოფობის გავრცელება და ესევე არის მიზეზი, რომ მაგ. ჩვენს დაცემულს ქვეყანაში, სადაც საქონელი და ადამიანი მომეტებულს ხანს ერთს სახლში ატარებენ და სადაც ამ პატარა ცხოველთ რიცხვი უანგარიშოთ მრავლდება, ავათ-მყოფობაც ასე გახშირებულია და როდესაც მოარული გაჩნდება ხოლმე, ავათ-მყოფები თითქმის ყოველს სახლში ჰერეხებსავითა ჰყრიან.

მქონდა თუ არა მიზეზი მეთქვა, რომ ჰაერის მტვერი და მასში გაბნეული წვრილი ცხოველები თავს იჩენენ მხოლოთ ბნელს ოთახში და ბნელს ქვეყნებში!

თუ ოთახში რამდენსამე ხანს არავინ არ შევა, მაშინ ეს მტვერი ძირს, კედლებზედ დაჯდება და ჰაერი სრულებით გასუფთავდება; ამ გვარს ოთახში სინათლის სვეტიც ცარიელი, უმტვერო იქნება.

თავი დავანებოთ მოაზრებით ლაპარაკსა და სარწმუნო მაგალითებზედ დავამყაროთ ჩვენი საუბარი.

ამ ორის წლის წინათ პარიჟის ერთს უბანში სახადი საშინლათ გახშირდა და ექიმებმა გადასწყვიტეს ზოგიერთს სახლებში მტვერი გავშინჯოთ რა თვისებისაა და შიგ რა გვარი ცხოველებიაო. ერთის კაზარმიდამ გამოიყვანეს სალდათები და დაიწყეს იმის ჰაერის გაშინჯვა. ამისთვის შეიტანეს ყინულით სავსე სტაქანი, რომლის გარეთა კედლების ნამსავით შემოერტყა ოთახის სინოტიე. ამ ნამს რასაკვირველია, უნდა შერეოდა ოთახის მტვერიც, მაგრამ, საკვირველი ეს არის, რომ, როდესაც ეს ნამი მიკროსკოპით (დიდათ მაჩვენებელი იარაღით) გაშინჯეს, ნამცეცი მტვერი ვერ იპოვეს.

მთქვი კი, საკვირველი ეს არის მეთქი, მაგრამ აქ საკვირველი არა არის-რა იმისთვის, ვინც ზემოთ ნათქვამს ყური დაუგდო; იმან იცის, რომ მტვერი და მასთან წვრილი ცხოველები დამშვიდებულს ოთახში კედლებზედ და პოლზედ უნდა დამშვიდებულიყვნენ და ჰაერი გასუფთავებულიყო.

ექიმებმა აფხიკეს ამ კაზარმების პოლიდამ მოშავო მტვერი, გაშინჯეს მიკროსკოპში და აუარებელი ცხოველები გამოაჩინეს, რომელნიც ზოგი ძაფსა ჰგავდნენ, ზოგი რგოლსა და მოუსვენრათ დაცურავდნენ ერთს ცვარს წყალში, რომელიც მიკროსკოპის ქვეშ იყო დაწვეთებული.

ეს ცხოველები უფრო სხვა-და-სხვა გვარნი და უფრო კიდევ ბევრნი აღმოჩნდნენ ერთის ოთახის პოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეროდ შინ ითხოვენ და არის ერთი ვაი ვაგლახი და წეწვა-გლეჯა.

ერთის სიტყვით, გზის ბეგარის უწესოებას და ურიგობას რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და ამის შესახებ კარგად მოფიქრებული, დამჯდარი ჭკუით აწონილი და გამოკვლეული წესები დაადგინეს—ამით ბევრს უსამართლობას მოშლიდა და დიდს სიკეთეს შეჰსძენდა ხალხსაცა და ქვეყანასაცა.

### ქალაქის რჩევის სხდომა

10 მარტს.

(დასასრული)

მეორე საგანი, რომელზედაც აგრეთვე ხანგრძლივი და გაცხარებული ბაასი ჩამოვარდა, იყო რჩევის მხრით კომიტეტის წევრთა ამორჩევა იმ სახელოსნო სასწავლებლისა და თ. ბარიათინსკის სახელზე პირველ-დაწყებით შკოლისათვის, რომელსაც ქალაქი თავის ხარჯით ხსნის.

რჩევამ გარდაწყვიტა, რომ, ქალაქის თავსა და სასწავლებლის დირექტორს გარდა, კომიტეტში კიდევ შვიდი წევრი იყოს ქალაქის რჩევიდამაო. კომიტეტის წევრებად წარმოდგენილი იყვნენ 20-ზე მეტი, რომელთაგან ზოგმა უარი განაცხადა კენჭის-ყრისა; დარჩა 13, რომელთაგან ხმის უმეტესობით ამორჩეულნი იქმნენ: ივ. სტ. ხატისოვი, პავ. სტ. ზამბაროვი, ა. იზმაილოვი, ა. პ. ბებუთოვი, გ. მ. ეიანგულოვი, დოქტ. ვართანოვი და ივ. სოლ. აქიმოვი.

როცა საქმე ყველას გათავებულად მიაჩნდა, იმ დროს წამოდგა ხმოს. ზ ა მ ბ ა რ ო ვ ი და სთქვა, რომ ძალიან ვწუხვარო, რომ კენჭის დაწყებამდინ არ ვიყავი აქაო, თორემ წინადადებას შემოვიტანდიო, რომ კომიტეტში უეჭველად ერთი ან ორი ქართველთაგანი ხმოსანი ყოფილიყო ამორჩეულიო. საზოგადოება სხვა ნაირად შეხედავს ამ ჩვენს არჩევანსაო, იფიქრებენო, რომ სომხებმა ჩაიგდეს ხელში შკოლა და სხვას არავის ურევენო. ამას გარდა, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სასწავლებელში იქნება საკუთრივ ქართველებისათვის კლასები, სადაც ჰსწავლა ქართულს ენაზე იწარმოებს. ამის გამო მე შემომაქვს წინადადება, რომ, თუ შეიძლება კიდევ ორი წევრი ქართველთაგანი ავირჩიოთ კომიტეტში; და თუ ეს არ შეიძლება, მე გამოვდივარ კომიტეტიდამ.

ამაზედ დიდი ყაყანი შეიქმნა, ა. პ. ბებუთოვმა გამოაცხადა, რომ ამ აზრით მეც გამოვდივარ კომიტეტიდგანაო.

ხმოს. აბგ. იოანესიანი და ზოგიერთი სხვები ამტკიცებდნენ, რომ ხელმეორედ კენჭის-ყრა შეუძლებელიაო, საქმე გათავებულიაო, ალ. ჩოლაყაშვილს და სერ. მესხის არჩევა გვინდოდა კომიტეტში და თვითონვე უარი განაცხადესო; ნიკ. ნიკოლაძის გაშავება სრულებით იმას არ ნიშნავსო, თითქო იმიტომ გავაშავეთ, რომ ის ქართველიაო, აქ სხვა მიზეზები გვქონდაო და სხვ.

ქ ა ლ ა ქ ი ს თ ა ვ ი ს წინადადებით, რჩევამ გარდაწყვიტა, რომ კომიტეტს კიდევ ორი წევრი მოემატოს. ახალ კანდიდატებად წამოაყენეს შემდეგი პირები: სერ. მესხი, ალ. ჩოლაყაშვილი, ავერკიევი, სპიროვი და სტ. ივ. ზარაფოვი. ამათში თ. ალ. ჩოლაყაშვილმა კენჭის-ყრაზე უარი განაცხადა. ამორჩეული იქმნა ხმის უმეტესობით სერ. მესხი.

### ახალი ამბები

—

გუშინ შუა დღისას, ერთი საზარელი საქმე მოხდა თამამშევის ქარვასლაში: მაუდისა და ქალალდის ვაჭარი ალალო გონიევი დამღრჩვალი ნახეს თავის მაღაზიის ქვემო სარდაფში. მალე შეიტყეს ეს ამბავი, ჩამოხსნეს თოკიდამ, რომელზედაც ეკიდა და ექიმებიც მოიყვანეს. ექიმებმა ცოტა მოასულიერეს, ჩამოხრჩობილმა სუნთქვა დაიწყო და საავათ-მყოფოში წაიყვანეს. ამბობენ, შეიძლება მორჩესო...

მიზეზი, ამბობენ, ის იყოვო, რომ ვაჭრობა ამ უკანასკნელ დროს ერთობ ცუდათ მიუდიოდაო, რაღაც ვალი ჰქონია ვზაიმნი კრედიტის ბანკში შესატანი და დროზე ვერ შეუტანია.

* * *

გუშინ წინ, 10 მარტს, გაჩნდა ცეცხლი ზუბალოვის შენობაში, ერევნის მოედანზე, მექუდის მაისურაძის მაღაზიაში, რომელიც კიდეც გადიწვა. ამბობენ, რომ მაღაზია ორას თუმნად იყო სტრახში შეტანილიო და საქონელი კი იმაში ბევრი-ბევრი ოც-დაათ თუმნის თუ იქნებოდაო; ამის გამო მაისურაძეზედ გამომძიებელს ეჭვი აუღია და დაუჭირავთო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში ივრის ხეობისათვის წაუღიათ 500 ჩეთვერამდინ პური გორის მაზრიდამ და 200 კიდევ მოელიანო.

ოდესიდამ დღე-დღეზე მოელიან რუსეთის პური, რომელიც, ამბობენ, ხალხს შვიდ-რვა აბაზზე ძვირად არ დაუჯდება ფუთიო.

* * *

ჩვენ გვითხრეს, თუმცა არ ვიცით—რამდენად მართალია ეს ამბავი, რომ ადრინდელი რედაქტორი „თფ. მოამბისა“ თ. კოსტ. ალ. ბებუთოვი რომელიც ეს მესამე წელიწადია პეტერბურღში ცხოვრობს, დანიშნულია გრაფ ლორის-მელიქოვთან ოსობი პორუჩენის ჩინოვნიკათაო.

### „დროების“ კორრესპონდენცია

—

ქართლიდამ, 4 მარტს. მოუსავლობას პურისას სხვა-და-სხვა ნაირი ბოროტება მოსდევს: ქურდობა, ავაზაკობა, კაცის კვლა და სხვ. ზოგს ქურდობა და ავაზაკობა ხელობათ გადაქცევია. ქურდობს და ავაზაკობს და ავაზაკობს არა იმიტომ, რომ იმას აკლია რამე, რომ შიან-სწყურიან, არა. ხშირად ბუნება ითხოვს, რომ იავაზაკონ; ისე აღზდილა, ისეთ წრეშია, რომ ამ ნაირი საქციელი გმირობათ მიაჩნიათ. მაგ. ოსები ავიღოთ. ეხლა აქეთ ოსეთში ხალხსარა უშავს რა; ბევრით სჯობიან შეძლებით ქართველებს, მაგრამ თუ არ იქურდეს, არ შეუძლიანთ.

ადრე ცხინვალს იკლებდნენ იქაური მცხოვრებლებივე. დღე კაცი ქუჩაში ვერ გაივლიდაო; გამოუვარდებოდნენ დუქანში მოქეიფე ავაზაკები ცხინვალელივე სომხები და ქართველები, და ართმევდნენ ფულს, ქამარს და სხვ. ისინი იმით მართლულობდნენ თავს, რომ მაშ შიმშილით ხომ ვერ დავიხოცებითო, რითი ვირჩინოთ თავი თუ არ ამ ნაირი გზით. მინამ ბატონ თფილისის ღუბერნატორს არ შეეხვეწნენ, არ გამოუცხადეს, ცხინვალელების მხსნელი არავინ არ გამოჩნდა. სასტიკად მოიწერა ბატ. ღუბერნატორი და მაშინვე გაძევეს ისინი ცხინვალიდგან.

ცხინვალს, როგორც ვსთქვით, ეშ-

---

ანაფხეკში, რომელსაც უფრო სიმყრალის სუნი სდიოდა. ექიმები ამტკიცებენ, რომ ეს ცხოველები, როდესაც ძალიან გამრავლდებიან ჰაერში, ადამიანს შესდიან გულ-გვამში და სხვა-და-სხვა ავათ-მყოფობებს უჩენენო. ძველს სახლებში ისინი უფრო მრავალნი არიან ვიდრე ახლებში და იმ სახლების მცხოვრებთ კი რომელნიც ხშირათ სუფთავდებიან და ირეცხებიან, ამ ავათ-მყოფობებისა სრულებით არ უნდა ეშინოდეთ.

გამოჩენილმა ინგლისის ფიზიკოსმა ტინდალმა ერთი საქმე სცადა, რომელმაც ზოგიერთს მეცნიერების კითხვებს მარჯვე პასუხი მისცა. იმან გააკეთებინა ხის ყუთი, რომელსაც შიგ ჰაერი ვერსით ვერ შეუვიდოდა. პოლს გლიცერინი წაუსვა, იმისთანა ნივთიერება, რომელსაც მტვერი ეკვრის და აღარა შორდება. რამდენსამე ხანს ეს ყუთი მიყრუებულს ალაგს დასდო; მტვერი დაჯდა და მასუკან რაც უნდა გაენძრია ეს ყუთი, მტვერი მაინც გლიცერინს ვერ მოშორდებოდა. ამ ყუთის ჰაერი სრულებით სუფთაა და მასში ძალიან ადვილია დიდ ხანს შენახვა ხორცისა აუყროლებლად, რძისა დაუმჟავებლად ტკბილის-აუდუღებლათ და სხვ.

ორის სიტყვით შეიძლება ზემოთნათქვამი განვიმეოროთ:

ჰაერში გაბნეულია მტვერი და სხვა-და-სხვა წვრილი ცხოველები. ეს ცხოველები არიან მრავალი ავათ-მყოფობის მიზეზნი და მათი რიცხვი იქ უფრო დიდია, სადაც სუფთაობას ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას.

* * *

ცოფზედ უარესს, ცოფზედ მომაკვდინებელს და ცოფზედ უსაზარლესს ავათ-მყოფობას კაცი ვერ წარმოიდგენს. ცოფიანის ძაღლის, მგელის, ან სხვა ცოფიანის ნადირისაგან ნაკბენი კაცი არა თუ მარტო იმით არის შესაბრალი, რომ იმას თითქმის უეჭველათ სიკვდილი მოელის, სიკვდილი ტანჯვითა და წვალებით მოახლოვებული; ის არის შესაბრალისი იმითაც, რომ არ იცის როდის მოუვა ის საშინელი ავათ-მყოფობა, რომელიც იმას კაცთა რიცხვიდან გამოარიცხავს და „ნადირთა თანა“ ჩარიცხავს; ის ყოველს წუთს მოელის გაცოფიანებას და ბევრი მგონია, ეს შიში სიკვდილის ჟამს ერთი-ათათ უახლოვებს.

როგორ უნდა იყოს ცოფიანის ნადირისაგან ნაკბენი კაცი დამშვიდებული, როდესაც ყოფილა მაგალითები, რომ ცოფი ადამიანს კბენის დროდამ ორისა და ნახევარ წლის შემდეგ გამოსჩენოდეს?!

რა არის ეს ავათ-მყოფობა და რა არის მისი მიზეზი?

ცნობილია, რომ ცოფი გადადის ნერწყვის საშუალებით. კბილი სჭრის ხორცსა და რაკი ცოფიანის ნერწყვი შედის სისხლში, კარგი უნდა რომ ნაკბენი ცოფს გადურჩეს. მართალია, ნახევარზედ მეტი ნაკბენთ რიცხვისა ცოფს გადურჩებიან ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევებში ხან ნერწყვი ტანისამოსს ვერ შეატანს და ხან ცოფიანის ცხოველის პირში საკმაო ნერწყვი არ არის.

ნერწყვი შესდგება სხვა და სხვა ნაწილებისაგან: პირის ნერწყვი გამოდის სამი წყვილი ნერწყვის მტევნებისაგან, პირში არის აგრეთვე ლორწო და ლორწო ამოდის აგრეთვე სუნთქვის ორგანებიდამ. საფრანგეთის ფიზიოლოგმა პოლ-ბერმა გამოაჩინა, რომ ცოფის შხამი მხოლოთ სუნთქვის ორგანებში არისო; ის რომ სხვა ცხოველზედ გადავიტანოთ და სისხლში შევუშვათ, უსათუოთ გააცოფიანებს; სხვა მტევნების ნერწყვი, ლორწო კი ასე არ მოქმედებენ.

გაცოფიანებისგან დასახსნელს ღონისძიებას ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთის მეტი ვერა იპოვნეს რა: ეს არის გახურებული რკინით დადაღვა.

თუ როცა პირუტყვი კაცს უკბენს, მაშინვე მიაშველებენ გახურებულს რკინას და დადაღვენ ნაკბენს ალაგს შიში იმდენი აღარ იქნება. გამოანგარიშებულია საფრანგეთში, რომ ასს ცოფიანის პირუტყვისაგან ნაკბენს კაცზედ ოთხმოც-და-ორი კვდება და თუ მაშინვე დადაღვენ, ასზედ კვდება მხოლოთ ოც-და-თექვსმეტი.

-ველა, მაგრამ ახლა სხვა ადგილებს უნდა შეელა. მთელ ერთ მხარეს იკლებენ ქურდები და ავაზაკები: ჴურვალეთს, საკორინთლოს, ჭალას, სამთავისს და სხვ. წასულ კვირაში ვიყავ ჴურვალეთში, სადაც მიამბეს, თუ როგორ უშიშრად, თამამად ამტვრევენ ოსები სახლებს, რომლებიც ისე ჰფხეკენ ხალხს, რომ თითზე გადასახვევს არას უშვებენ. მოვიყვან რამოდენიმე ფაქტს:

გასულ ზაფხულს, მარიობისთვეში, აიკლეს ს. ჴურვალეთში აზნაური მ. ქარუმიძე, რომელიც დასჭრეს და ყოველივე ავეჯეულობა, ტანისამოსი, ნივთები გაზიდეს. იცოდნენ თურმე სად რა იყო, რომელ ოთახში რა ჰქონდათ. აქედამ ჩანს, რომ ამავე ქარუმიძის ხიზანი ოსები არიან, რომელიც მის მამულში სცხოვრობენ.

ამ ზამთარს ჴურვალეთშივე მცხოვრებს ს. მაღალაშვილს ორჯელ დაესხნენ; ერთხელ გაულაგეს ყავრიდგან მთელი გუთნის იარაღი, მეორეთ კი გაუვეს.

ს. საკორინთლოში ამ თებერვლის თვეში გაქურდეს ერთი ბერძენი კალატოზი, რომელიც იმ ჴეობაში აშენებდა სახლებს ეკლესიებს ბოლოს ეს საცოდავი საკორინთლოში მოსულა, აქ ეკლესიის შენობა დაუწყვია და იქვე დასახლებულა. ისე აიკლეს თურმე, რომ საღამური ტანისამოსით დასტოვეს მთელი სახლობა, რომელიც სამადლოთ უტვირთნიათ იქაურს აზნაურებს და ბინა თავიანთ სახლში მიუციათ.

საკორინთლოშივე მცხოვრებელს აზნაურს მ. კორინთელს რამდენჯერმე მისჭრიან, მაგრამ გაუგია; იქვე ერთს მდიდარს გლეხს დასცემიან; იქვე რამდენჯერმე მისჭრიან გ. ღვანაძის სიძეს ვიღაც გურულ-ქართველს, რომელიც თურმე ამ ღამე თოფის სროლაშია.

ს. ჭალაში თუ კასპში აუკლიათ თ. ა. ამილახვარი.

ს. სამთავისში აიკლეს იქაური მღვდელი მსტატე ცხვედაძე და სხვ.—ვინ ჩამოსთვლის ყველას.

ყველა სახლობას, უნდა გითხრათ, ჰყავს საშინელი ავი ძაღლები, მაგრამ მიაქვთ თან ოსებს—ქურდებს მთელი ღორი, უჭრიან ძაღლებს, ან ქონში ამოსვრილ ნაბადს მიუგდებენ. ძაღლები ამათ ჭამას უნდებიან და რა ხმას გასცემენ.—ყველა ეს ქურდები—ოსები, როგორც დამარწმუნეს, არიან ზემო აღწერილი სოფლების მეზობლად მცხოვრებნი, ხიზანი კაცნი იმ თავად-აზნაურებისა, რომლებიც იმ სოფლებში სცხოვრობენ. იციან კიდეც ვინც იმისთანანი არიან, მაგრამ ისე დაშინებულები არიან, რომ ვერა უქნიათ რა. ყველა ამ სოფლის მცხოვრებნი, როგორც დამარწმუნეს, ყოველ ღამეს მოელიან დაცემას, თითქო ლეკიანობააო.

აი ამის მაგალითიც, რომელიც ჩემის თვალით ვნახე: 2-ს მარტს სადილათ ვისხედით ჴურვალეთში, სადაც იყო ერთი საკორინთლოელი აზნაურშვილი. უცბად შემოუვიდა ბიჭი, რომ შენი ბიჭი მოვიდა და წერილი აქვსო. „ვაიმე, დაიძახა ამ აზნაურმა და წამოვარდა,“ უთუოდ წუხელის ჩემს სახლს დაეცნენ. მაგრამ სხვა საქმისთვის იყო ბიჭი მოსული. აი ასეა დაშინებული ხალხი.

მე ერთ-ხმივ მთხოვეს ყველა იქ სადილზე მყოფთა, რომ „დროებაში“ დასწერე ეს ჩვენი ასეთი ყოფაო და იმედი გვაქვსო, რომ ბატ. ღუბერნატორი და მაზრის უფროსი ყურადღებას მიაქცევენ და დაგვიხსნიან ამ ცეცხლისაგანო ისე, როგორც ცხინვალი დაიხსნესო.

ვასრულებ იმათ თხოვნას და ბეჭდვით ვაცხადებ ამ ფაქტების სინამდვილეს გაზეთ „დროებაში“. დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი ღუბერნატორი, რომელიც სასტიკი აღმასრულებელია საზოგადო თხოვნისა, რაიც არა ერთხელ აღმოუჩენია,— მიაქცევს თვის ყურადღებას და მოახდენს განკარგულებას, რომ ბოლო მოეღოს ქურდობა-ავაზაკობას ზემო აღწერილ სოფლებში. თვით ამ სოფლების საზოგადოებანი, როგორც დამარწმუნეს, დიდ შემწეობას მისცემენ ადმინისტრაციას ავაზაკების აღმოჩენაში.

ვსთხოვ თფილისურ რუსულ გაზეთებს, გადაბეჭდონ ზემო მოყვანილი ფაქტები.

წაკოლ. ც.

---

## მარგანეცის (ქვა-ბუნდის) საქმე და ჩვენი გაიძვერების ოინები

(წერილი რედაქტორთან *)

(დასასრული)

ეხლა მოისმინეთ კიდევ შემდეგი ოინები ფურმან — მერცენფელდისა: როდესაც ბატ. ჰალბაუერი მათ ფულებს აღარ აძლევდა, თუ ისინი არ წარუდგენდნენ მას რაიმე საბუთს მარგანეციან ადგილის შეძენის თაობაზედ და არ გადასცემდნენ მას, მაშინ, რომ ეს არ დამართოდათ და ამასთან, რადგან რიგიანი და მსხვილი მეპატრონეები აღარ ეკარებოდნენ და ვერც მათგან ვერას შეიძენდნენ, ვიღაც დამშეულების შემწეობით გამოძებნეს ერთი საწყალი ქვრივი მაშაძისა აპეკუნი თავისი ობლებისა, და რადგან ობლების მამულის გაყიდვა მოუხერხებელი იყო, გამოტყუეს საწყალ დედა-კაცს სესხებითი ბარათი, რომლის ძალითაც ფურმანმა დროებით დაიფლო ერთი ნაჭერი მადნიანი ადგილი და სწრაფად დააყენა ზედ მუშები. შეატყობინეს ჰალბაუერს, რომ ვითომ ადგილები იყიდეს და დაიბარეს მისდა ჩასაბარებლად. როდესაც ჰალბაუერმა ნახა ადგილები, ზედ გამართული მუშაობა, დარწმუნდა, რომ სწორეთ შეძენილიაო; მაგრამ მის სახელზედ აღარ გადიტანეს იმ ადგილის მფლობელობა იმ მიზეზით, რომ ვითომ იმ დროს დღესასწაულები იყო და ამიტომ დააკლდათ რამოდენიმე კანონის წესების შესრულებაო, მაგრამ სულ ერთია, რადგან ჰალბაუერის მაგივრად მერცენფელდს გადასცემდნენ, რომელიც გაუგზავნიდა პეტერბურღში, სადაც მიეჩქარებოდა ჰალბაუერს თავის მეუღლის ავათმყოფობისა გამო. ალბათ ესენი ყველაფერი დაუჯერა მათ, რადგან გასწია თფილისში იმ იმედით, რომ საქმე კარგათ წავიდოდა. როგორც გამოდგა ბოლოს, თავიც გაიმართლეს მასთან, ფულებიც, 15,000 მან. გამოართვეს და გადულოცეს დიდის აღტაცებით პეტერბურღისაკენ! როდესაც თფილისში ჩავედი მის სანახავად, იმისდა ნაცვლად ირონიულის ღიმილით დამხვდა მერცენფელდი და მახარა, რომ ჰალბაუერი წავიდაო და ყოველი საქმე მე ჩამაბარაო და ფულებიცო!

პატარა ხანს დავანებოთ თავი ამ მერცენფელდს და დაუბრუნდეთ იმ დროებით ვექსილით შეძენილს ადგილსა. როდესაც ამ გაუმიჯნავ ადგილს დაადგნენ სამუშაოთ, მაშინ დაინახეს მონაწილეებმა და მეზობლებმა, რომ მათი ადგილები იჯირგებოდა და საყანეები იჭკვნებოდა, მოიყარეს თავი და უთხრეს ფურმანს, რომ არ ეკადრებია ამ ნაირათ მათი მამულების აოხრება და დაენებებია თავი მუშაობისათვის დრომდის. რიგიანი პასუხის ნაცვლად ფურმანმა მუქარა დაიწყო: როგორ მიბედავთ მაგვარ თხოვნას, თქვენ არ იცით — თუ ვინა ვარ მე! ერთს ბარათს მივსწერ უეზდის ნაჩალნიკსო და ყველა ციმბირში ამოყოფთ თავს, თუ კიდევ გაგიბედნიათ ამისთანა ამბებიო! წადით! წადით, თორემ ბარონმა თუ გაიგო, თქვენი ჩივილი, ის იმისთანა ძლიერი კაცი არის, რომ სულ დაღუპული იქნებით.“

აი უფ. ფურმანი, რომელიც ბარონის შემწეობით ხალხს შკოლას უკეთებს, უპირებს მას გაბედნიერებას, და როდესაც ეს ხალხი თავის ადგილებს მოეპატრონა, მაშინ ისევ ეს ფურმანი თავისივე ბარონის დახმარებით დაღუპვას უპირობს მათ! ამ ნაირი მოვლინება ჩვენში სასაცილოც არის და სამწუხაროც!...

ბოლოს მოგახსენებთ ბარონის ოინებს და მისი მრჩევლებისას. როდესაც ის დარწმუნდა, რომ უსათუოდ მე იმას აღარ მოვსცილდებოდი და დაწერილებით გამოაშკარავებოდა მათი ყოველივე მოქმედობა, რა ამბები არ ჩაიდინეს, რომ გამრიგებოდნენ. რომ ალაფერი გაუვიდათ, გააჩინეს ენის თრევა, ინტრიგები, მითმოთობა, რამე ნაირათ ხელი შაეშალათ. ჩემს მარწმუნებლებს აძლიეს დიდი ქრთამი, რომ შაეშალათ ჩემთვის პირობა და შეეყენებიათ საჩივარი, რომ იმისათვის მიმექცია ყურადღება და ვინე დამეტოვებია თავის ნებაზედ. როდესაც შეატყუე მერცენფელდს ამ ნაირი უსინიდისო მოქმედება, გაუგზავნე ტელეგრამმა ვახტერს, რათა გამეგო ნამდვილად თუ რა კავშირი იყო მათ შორის, ამასთან ჰალბაუერს მივწერე ბარათი და გაკვრით ვაცნობე უწესო მოქმედობა ფურმან-მერცენფელდისა.

ამ ამბებს მე სრულებით არ უფარავდი მერცენფელდს, მაგრამ თავს იმითი მართლულობდა, სხვებთან, რასაკვირველია, რომ გამოუცდელია და შეაცდინეს. ბარონი უნდა გამოეყვანა პატიოსან კაცად; ამიტომ ასტეხეს ცრუ საჩივრები ერთმანეთში ფურმანმა და მერცენფელდმა, გაუგზავნეს ერთმანეთს ნოტარიუსები, მათი აგენტები გარბოდნენ და გამორბოდნენ, ავრცელებდნენ ხმას, რომ მერცენფელდმა ფურმანი გააგდო, და თუ ბარონი შეცდა რასმეში, სულ ფურმანის ბრალიაო და სხვა.

ფურმანი თავის მხრით კარგად თამაშობდა თავის როლს, მაგრამ ბოლოს გადააჭარბა, და მით დაარწმუნა ბევრი, რომ სულ ოინი იყო, ან კი რა ჰქონდათ საჩივარი, როდესაც არც შეძენილი ჰქონდათ რამე და არც შემოსავალი! ფურმანი ეცა ხან ერთს და ხან მეორე ადვოკატს, ვითომ ანდობდა მათ საქმეს, რომ ეჩივლათ მერცენფელდისათვის. ერთი ჩვენი ადვოკატი კიდევაც შეიყვანა ისეთს გრძნობაში, რომ ფულებიც გამოართვა როგორც ბარონიდამ გამოგდებულმა უგზო-უკვლოთ დატოვებულმა. გაავრცელა ხმა, რომ უბედურ კაცად გახადა ბარონმა. როდესაც დარწმუნდა, რომ საკმაოდ გაავრცელა ხმა მის გაგდებაზედ, და საჩივარზედ მაშინ მოსცილდა ქუთაისის ადვოკატს და გასწია თფილისში, იქაც ადვოკატების სანახავად.

ერთის სიტყვით, მერცენფელდი ცდილობდა, თავის აგენტების შემწეობით რომ ფურმანის მოქმედება შეიმზგავსებია ჩემსას, შესახებ ჩემ-და მერცენფელდის შუა განხეთქილებისა, რადგან ეგონა, რომ ამით გაიმართლებდა თავს მახტერთან: ადვოკატები თავის დროზე გამოადგებოდა როგორც მოწმე, რომ ფურმანი სწორედ გააგდო, და თუ ვინმე უჩივლებს მისი ბრალი არ არის, რადგან ფურმანმა მოატყუა.

ეხლა შევხედოთ ამათ მოქმედებას მატერიალურის მხრით: მერცენფელდი და იმის მზგავსი კაცნი არას დაზოგვენ თავიანთი ჯიბის სასარგებლოდ; მაგრამ რა ზომამდე უსინიდისო უნდა იყოს ეგ მერცენფელდი, რომელმაც იმისთანა ადგილზე შეაყენა პირობა, სადაც, იმისივე ინჟინრის დამოწმებით, არ არის არც ერთის წლის სამუშაო, რადგან იმ ადგილებში არ არის მარგანეცის ერთიანი და ძლიერი მადნეული, პირობა კი 12 წლის ვადით დაწერა, და აღტაცებაში მოიყვანა მეპატრონე. მერცენფელდს თავის გენიოსის ჭკუით ეგონა მოატყუა საზოგადოება და კაპიტალისტებიც, რადგან იმ პირობით კრედიტს აღადგენდა, და პეტერბურღში გამოტყუებდა ფულებსა.

*) „დროება“ № 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი გვაქ გვიპასუხებს უფ. მერცენფელდი და C-o თუ რაში ვარ შემცდარი. გაიმართლონ თავი საზოგადოებასთან. თუ რიგიანი და მცოდნე პირები ბძანდებიან, გამოწვეულნი არიან ბეჭდვით, და ნაცვლად ზურგს უკან ბაქიობას და ლენჩევსკიეით ენის თრევით გასაჯონ როგორც რიგია; იქნება ბეჭდვით ეზარებათ გამოსვლა, დანიშნონ მედიატორის სუდი, ერთის სიტყვით ყველაფერში მივყვები, თუ თავს გაიმართლებენ.

განა ცოდვა იქნება, რომ გავიგოთ—თუ რა ნაირი და სიდან ჩამოსულნი არიან ის პირები, რომელნიც დღეს ჭიათურაში არიან. ინჟინრები არიან. თუ რა სპეციალისტები, ან რა ზნეობისა არიან, მით უმეტეს რომ იქაური მცხოვრებლები სრულებით გამოუცდელნი და მართალი სული არიან, მზარეულიც ევროპიულად ჩაცმული რომ მივიდეს და სთქვას, მე ინჟინერი ვარო, ძალიან ადვილად დაიჯერებს.

არ იქნება ურიგობა, რომ პახტერმაც ამ ერთ კითხვაზე მოგვცეს პასუხი: თუ ის კაპიტალისტი და თანამედროვე ვაჭარია, განა მისი კაპიტალი ამ ნაირ ოინებისთვის უნდა, რომ მერცენფელდებმა თავის აგენტებით ინავარდონ უსწავლელ ხალხში მათ გასარყვნელად?...

იმედი მაქვს, ჩვენი რუსული გაზეთები უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ ამბავს, და მით მისცემენ საშუალებას აქ ხსენებულთ პირებს, რომ გვიპასუხონ, რადგან მათ ქართული არ იციან და რუსულში და სხვა ენებზე ძალიან მარჯვე და მოხერხებული მწერლები არიან....

თ. ივანე აბაშიძე.

---

# განცხადებანი

# რედაქციისაგან

„დროების“ რედაქცია უცხადებს თავის მოძმეთ ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან იანვრისა და თებერვლის ნომრები მეტი აღარ დარჩა რედაქციაში, ამის გამო დღევანდელი დღიდამ ხელის-მოწერა გაზეთზე შეიძლება მხოლოთ პირველის მარტიდამ.

1 მარტიდამ წლის დამლევამდინ გაზეთი ღირს 8 მანეთად.

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ, თავის 7 მარტის გარდაწყვეტილებით, მომავალ აპრილის თვის 12-ს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) ამ ქალაქის სახლის დასაქირავად და მისგან გაყიდვას, რომელიც იმყოფება მოსკოვის ბაღჯის ზემოდამ კერის 1 უბანში. ვისაც ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან დანიშნულ დღეს დილის 11 საათამდინ გამოცხადდეს უპრავაში.

(3—2)

---

**„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა“** სთხოვს იმ პირთა, რომელთაც უნდათ საზოგადოების წევრათ შემოსვლა, გამოგზავნონ საზოგადოების კანცელიარიაში წევრათ შემოსვლის სურვილის განცხადება და მასთან ერთად საწევრო ფული 6 მანეთი. მაისის საზოგადოების საერთო კრილობამდინ ისენი იქნებიან საზოგადოების კანდიდატებათ ჩარიცხულნი.

კანცელარიის ადრესი არის: Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. На Давидовской улицѣ, № 20.

(6—5)

---

# დროება-ივერია

ამ 1880 წლიდამ შეერთებულის რედაქციით გამოდის.

გაზეთი **„დროება“** გამოვა მუდამ დღე, ორშაბათსა და უქმეების შემდეგ დღეებს გარდა, საშუალის თაბახით. გაზეთში იბეჭდება ტელეგრამმები (პირველ დღესვე) და სახაზინო განცხადებანი (ინტენდანტსტვოსი, პრიკაზისა და სხვ.)

ჟურნალი **„ივერია“** გამოდის ხამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

**ხელის-მოწერა** მიიღება მხოლოთ რედაქციაში: ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.*

| | წელიწ. | 6 თვე | 3 თვე. |
|---|---|---|---|
| ფასი „დროება“ და „ივერია“ ერთად | — 13 მ. | — 7 მ. | — 4 მ. |
| ცალკე: „დროება“ | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| ცალკე: „ივერია“ | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ —5 კაპ.
ცალკე ნომერი „ივერიისა“ —2 მან.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფასი ჟურნალ-გაზეთისა ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

---

თანახმად ნება-დართვისა უ. ტფილისის გუბერნატორისა უნდა მოხდეს ქ. გორის კრუჟოკის ზალაში, ოც-და-შვიდს ამ მარტს, დილის ათს საათზედ, განსაკუთრებითი გორის უეზდის თავად-აზნაურთ ერილობა, რომელსაც ექნება სჯა შემდეგ საგნებზედ:

1) მოპოვება იმ ღონის-ძიებისა, რომლითაც უნდა აღიზარდნენ თავად-აზნაურთ შვილები, (თანახმად გადაწყვეტილობისა ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ ერილობისა 2 მაისს 1879 წელსა);

2) ხიზნებზედ;

3) სანახირო და სამოვრის მამულების წესების დადგინებაზედ გლეხთა და მამულის პატრონთა შორის.—

გორის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომელი თ. ა. ამილახვარი.

(3—1)

---

სავაჭრო სახლი

# იაგორ კასუმოვი და ამხ.

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც **1 და 2 შინაგანი სესხის ბილეთების** ყიდვა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ამხანაგობის მთავარ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები კარგის პირობებით ისყიდება. მსყიდველს შეუძლიან ნაწილ-ნაწილად დრო-გამოშვებით შემოიტანოს კანტორაში ფული დაწერილებით პირობების შეტყობა თვითონ კანტორაში შეიძლება.

(10—2)

---

**ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის 1879 წლის ანგარიში.**

სანგარიშო წლის 1 იანვარს იყო!

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 6,643—40 | გასესხებული — — | 7,697—50 |
| სასარგებლოთ მობარებული — — — — | 668— „ | კასსაში: | |
| შემდგომ ადებ გალ. — | 160— „ | ნაღდი ფულათ — — | 762—67 |
| სათადარიგო თანხა | 66 91 | | |
| წმინდა მოგება — — | 921—86 | | |
| | 8,460—17 | | 8,460—17 |

1879 წელს

| შემოსავალი | | გასავალი | |
|---|---|---|---|
| წლის ფული — — | 2,850— „ | წლის ფული — — | 174—50 |
| სარგებელი სესხობისდროს — — — — | | 1878 წლის წილზედმოგება — — — — | 494—20 |
| ანუ ახალის ვალის მიცემის დროს — — | 861—73, | გასესხებული— — — | 12,014— „ |
| ჯარიმა — — — — | 61—19 | ვადის წინ გარდახ. სესხ. სარგებელი — — — | 20—43 |
| დაბრუნებული სესხი — | 11,807—50 | მობარებული ფული — | 475 — „ |
| სასარგებლოთ მობარებული — — — . | 266 „ | შემდგომ ამის სარგებ. | 63—13 |
| სათადარიგო თანხა — | 93— „ | ვალად ადებული — — | 160— „ |
| სხვადა სხვა შემოსავალი | 13—80 | ამის სარგებელი — — | 12— „ |
| | | სხვა და სხვა — — | 9— „ |
| | | სამართველოს ხარჯი — | 72—15 |
| | | საადებ მიცემო — — | 359— „ |
| | 15,953—22 | | 13,853—41 |

1880 წელს 1 იანვარს არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — | 9318—90 | გასესხებული — | 7904—„ |
| სარგებ. მობარებული — | 459— „ | კასსაშია: | |
| სათადარიგო თანხა — | 159—91 | ნაღდ-ფულად— — — | 2,862—48 |
| წმინდა მოგება — — | 828—67 | | |
| | 10,76—48 | | 10,766—48 |

ამხანაგობაში ითვლება 358 წევრი; მათ შორის 162 ამხანაგლი წილი 6,480 მანეთი. დანარჩენი 196 ამხანაგს წილის შემოს 2,838 მანეთი 90 კაპეიკი. მოგება ხვდა 11% მანეთზე.

ნამდვილად სწორია გამგებელი თ. ქ. ყიფიანი

ნამდვილის ანგარიშზე ხელი უწერიათ:

თავს-მჯდომარეს მ. ს დადიანი.

რჩევის წევრნი: მ. გიორგი სეღულაძე, მ. ლ. გუნცაძე, გლეხ. ლიძე.

გამგეობის წევრნი: თ. ქ. ყიფიანი, მ. ა. შარაშიძე და ს. გოცირიძე

(3 3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Марта 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.